



9977/4-2/21 2 30092021

9977/4-2/21

30-09-2021

საქართველოს იუსტიციის მინისტრს,
ბატონ რატი ბრეგაძეს

ბატონო რატი,

საქართველოს პარლამენტის რეგლამენტის 148-ე მუხლის პირველი პუნქტის საფუძველზე, გთხოვთ, მოგვაწოდოთ შემდეგი ინფორმაცია:

1. დღეის მდგომარეობით, რამდენ საქმეზე არის (სამოქალაქო და ადმინისტრაციული) სამართალწარმოების მხარე პენიტენციურ დაწესებულებაში მოთავსებული მსჯავრდებული?
2. 2015-2021 წლებში რამდენ საქმეზე (სამოქალაქო და ადმინისტრაციული) იყო მხარე პენიტენციურ დაწესებულებაში მოთავსებული მსჯავრდებული?
3. როგორია პენიტენციურ დაწესებულებაში ყოფნის პერიოდში მსჯავრდებულის მიერ სასამართლოში სამოქალაქო ან/და ადმინისტრაციული სარჩელების წარდგენის წლიური მაჩვენებელი (2015-2021 წლები)?
4. მსჯავრდებულის მიერ სასამართლოში სამოქალაქო ან/და ადმინისტრაციული სარჩელის წარდგენის რა ხელისშემშლელი გარემოებებია იდენტიფიცირებული პენიტენციური სამსახურის მიერ.
5. 2015-2021 წლებში, რამდენი სარჩელი იქნა წარდგენილი საერთო სასამართლოებში საქართველოს იუსტიციის სამინისტროს სისტემაში შემავალი სახელმწიფო საქვეუწყებო დაწესებულების - სპეციალური პენიტენციური სამსახურის ადგილობრივი საბჭოს გადაწყვეტილების თაობაზე სასჯელის მოხდისაგან პირობით ვადამდე გათავისუფლებაზე ან სასჯელის მოუხდელი ნაწილის უფრო მსუბუქი სახის სასჯელით შეცვლაზე უარის თქმის შესახებ (პატიმრობის კოდექსის 42-ე მუხლის მე-6 ნაწილი და 43-ე მუხლის მე-7 ნაწილი)?
6. მე-5 პუნქტში მითითებულ საკითხებთან დაკავშირებით, რამდენ სარჩელზე დადგინდა სასამართლოს მიერ ხარვეზი ბაჟის გადაუხდელობის გამო?

7. მე-6 პუნქტში მითითებული შემთხვევებიდან რამდენ შემთხვევაში იქნა მიღებული სასამართლოს მიერ განჩინება სარჩელის წარმოებაში მიღებაზე უარის თქმის შესახებ მოსარჩელის მიერ ბაჟის გადაუხდელობის გამო?
8. მე-5 პუნქტში მითითებულ საკითხებთან დაკავშირებით, რამდენ შემთხვევაში მოხდა სარჩელის დაკმაყოფილება?

გთხოვთ, მე-2, მე-3 და მე-5-მე-8 პუნქტებში მითითებული ინფორმაცია მოგვაწოდოთ ჩაშლილი სახით, შესაბამისი წლების მითითებით.

პატივისცემით,

პარლამენტის წევრი
მიხეილ სარჯველაძე

მ. სარჯველაძე



საქართველოს იუსტიციის მინისტრი

საქართველო, ქ. თბილისი, 0114, გორგასლის ქ.24 ა. ტელ.: 2 40-51-48, 2 40-58-36; ელ.ფოსტა: info@justice.gov.ge



KA010144902578521

№14464

03 / ნოემბერი / 2021 წ.

საქართველოს პარლამენტის წევრს,
ბატონ მიხეილ სარჯველაძეს

ბატონო მიხეილ,

საქართველოს იუსტიციის სამინისტროში წარმოდგენილი თქვენი განცხადების (საქართველოს იუსტიციის სამინისტროში რეგისტრაციის № 01/26664; თარიღი: 30.09.2021) პასუხად, რომლის თანახმადაც მოთხოვნილია ინფორმაცია საერთო სასამართლოების წარმოებაში არსებული სამოქალაქო ან/და ადმინისტრაციული საქმეების თაობაზე, სადაც ერთ-ერთი მხარეა მსჯავრდებული, გაცნობებთ შემდეგს:

სპეციალურ პენიტენციურ სამსახურში (შემდგომ – სამსახური) სტატისტიკური მონაცემების დამუშავება რეგულირდება „საქართველოს სასჯელაღსრულებისა და პრობაციის სამინისტროს სისტემაში სტატისტიკის წარმოების წესების, სტატისტიკური მონაცემების დამუშავება-წარდგენის ვადებისა და მისი განმახორციელებელი სამსახურების განსაზღვრის შესახებ“ საქართველოს სასჯელაღსრულებისა და პრობაციის მინისტრის 2015 წლის 30 დეკემბრის №8467 ბრძანებით. გემოაღნიშნული ბრძანება არ ითვალისწინებს საერთო სასამართლოების წარმოებაში არსებული სამოქალაქო ან/და ადმინისტრაციული საქმეების შესახებ სტატისტიკური მონაცემების დამუშავებას. შესაბამისად, მოკლებულნი ვართ შესაძლებლობას, მოგანოდოთ აღნიშნული მომართვის პირველი, მე-2, მე-3 და მე-4 პუნქტებით მოთხოვნილი ინფორმაცია.


რაც შეეხება მომართვის მე-5, მე-6 და მე-7 პუნქტებით მოთხოვნილ ინფორმაციას, გაცნობებთ, რომ სამსახურის ადგილობრივი საბჭოების სამსახურებრივი უზრუნველყოფის დეპარტამენტი მხოლოდ 2017 წლიდან აწარმოებს მისი კომპეტენციის ფარგლებში სასამართლო სტატისტიკას. ამასთან, სამსახურის ადგილობრივი საბჭოების სამსახურებრივი უზრუნველყოფის დეპარტამენტი არ აწარმოებს სტატისტიკას იმის თაობაზე, თუ რამდენჯერ და რა საფუძვლით ეთქვა უარი მოსარჩელეს სარჩელის წარმოებაში მიღებაზე. შესაბამისად, მოკლებულნი ვართ შესაძლებლობას, სრულად მოგანოდოთ აღნიშნული პუნქტებით მოთხოვნილი მონაცემები.

აქვე აღვნიშნავთ, რომ 2017 წელს სასამართლოში გასაჩივრდა სამსახურის ადგილობრივი საბჭოების 129 გადაწყვეტილება, 2018 წელს – 144, 2019 წელს – 114, 2020 წელს – 70, ხოლო 2021 წლის 20 ოქტომბრის მდგომარეობით, სასამართლოში გასაჩივრდა 88 გადაწყვეტილება.

მომართვის მე-8 პუნქტის შესაბამისად, მოგახსენებთ, რომ 2017 წლიდან 2021 წლის 20 ოქტომბრის ჩათვლით პერიოდში სასამართლომ 27 შემთხვევაში სრულად დააკმაყოფილა მოსარჩელის სასარჩელო მოთხოვნა.

პატივისცემით,

საქართველოს იუსტიციის მინისტრი

ხელმოწერილია/
შტამვდასმულია
ელექტრონულად 

რატი ბრეგაძე